ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3778488

ნომერი: AR1567801

თარიღი : 03.01.2018

გაცემის თარიღი : 16.01.2018

გაცნობის თარიღი : 16.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ულიანოვი , N 29 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიბანი , N 6 / ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , ნაკვეთი 08/078 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერთ იუმუშაქერ პ/ნ 01092003974
- გურამიშვილის გამზ.#64

ორგანიზაცია:
- იონფამ ჯორჯია კოდი: 200271721

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 3 იანვრის AR1567801 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2012 წლის 17 თებერვლის #52907 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას, კერძოდ: საპროექტო ობიექტის დასახელების გრაფაში საოფისე და სავაჭრო შენობა–ნაგებობაზე, სასაწყობე შენობა–ნაგებობის დამატებას.

სამსახურის 2012 წლის 17 თებერვლის №52907 გადაწყვეტილებით საოფისე და სავაჭრო შენობა–ნაგებობობის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შემდგომ შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ყოველივე ამის შემდგომ 2013 წლის 7 აგვისტოს №833338 გადაწყვეტილებით, სამსახურმა დაადასტურა დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომში ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, რის საფუძველზეც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანებით, შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობა მიღებულია ექსპლუატაციაში, გამომდინარე აქედან სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას და ვერ განახორციელებს ცვლილებას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

მოთხოვნა უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე და დამატებით წარმოადგინოთ გენგეგმა არსებული და საპროექტო შენობა–ნაგებობების ცვენებით და ასევე სატრანსპორტო სქემა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.